



იგორი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№312 (371) 21-28 აპრილი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ (თბილისი) 30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრუნად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – ააქი შენიკა ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, რომლისთვისაც მოცნობილი...

დაიბეჭდა გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“, 2014 წელს



ბატონო ალექსანდრე, საზოგადოებრიობის ლიბერალური, პროდასავლური ნაწილი გვარჯობენ, რომ ეკლესიის წარგვა საერო ცხოვრებაში, და საერთოდ, ტრადიციული საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირება – ეს არქაიკაა, ანაქრონიზმა, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს და ზღუდავს მის თავისუფლებებს.

– მორალი ანაქრონიზმი? ადამიანური მორალი იწყება იქ, სადაც ვალდებულება აკრძალვები. მორალი არის პრაქტიკული აკრძალვათა სისტემა. ადამიანი ათასწლეულების წინ მიხვდა, რომ იგი ვერ შექმნის საზოგადოებას, ტომს, ერს, ანუ ვერ გადარჩება, თუ არ შეზღუდავს თავისუფლებას. თავისუფლება შეზღუდვების გარეშე არის გზა პირუტყვობისკენ. ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით მე-4 საუკუნეში პლატონი ამბობდა, რომ აბსოლუტური თავისუფლებისგან ყოველთვის წარმოიშობა უდიდესი და უსასტიკესი მონობა.

იცით, როგორ გვემედა პიტლერი დაპყრობილი ერების მორჩილებაში ყოფას, მათი გამრავლებისა და გონებრივი განვითარების არდაშეგებას? ხალხის უმრავლესობას კინოფილმების გავლენით შეექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი ამირებად მკაცრი დისციპლინის დამყარებას, ერების შექმნის მიზნად ყოფას, მათთვის ყველაზე უფრო თავისუფლების შეზღუდვას... მაგრამ იყო აბსოლუტურად პირიქით! პიტლერი საჭიროდ თვლიდა დაპყრობილი ერებისთვის ინდივიდუალური თავისუფლების მაქსიმუმის მინიჭებას, მათზე სახელმწიფო კონტროლის ყოველგვარი ფორმის გაუქმებას და სწორედ ამ გზით იმის მიღწევას, რომ ეს ერები ინტელექტუალური და ზნეობრივი განვითარების ყველაზე დაბალ დონეზე აღმოჩნდებოდნენ. მე სიტყვა-სიტყვით მოგიყვანთ პიტლერის ფრაზას: „რაც უფრო პრიმიტიულია ხალხი, მით უფრო მეტად აღიქვამს თავისუფლების შეზღუდვას, როგორც ძალადობას მის მიმართ“. იგი თვლიდა, რომ ამ ერებს უნდა მინიჭებოდა სრული სექსუალური თავისუფლება, ნებადართული ყოფილიყო ყველაფერი რელიგიური სექტა, სახელმწიფო არ უნდა დააბაღოს სწავლა, მკურნალობა, ყველაფერი უნდა წაახადოს უფარდელი ცხოვრებისკენ, რისთვისაც ყველა ქალაქსა და სოფელში უნდა დაეყენებინათ რეპროდუქტორები, რომლებიდანაც დღე და ღამე ისმის მხიარული მუსიკა. ცხოვრების მთავარი სტიმული ამ ერებისთვის უნდა ყოფილიყო სამრეწველო პროდუქციის შექმნა, მაგრამ ამ ერებს გერმანელებისგან ცალკე უნდა ეცხოვრათ. გერმანელები უნდა ყოფილიყვნენ ვალდებული, დავცვათ მკაცრი მორალური ნორმები, ეროვნული ტრადიციები, განვითარებისათვის ეროვნული კულტურა, ბუნებრივად ესწავლათ, დაუფლებოდნენ მაღალ-

ტექნოლოგიურ პროფესიებს, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია უმკურნალოს ყველა გერმანელს, შეუქმნას მას ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარებისთვის საჭირო პირობები, არ დაუშვას რელიგიური სექტების ჩამოყალიბება. დისციპლინა და ვალდებულებები – მხოლოდ გერმანელებისთვის, ყველა დანარჩენს – სრული თავისუფლება.

როგორც ხედავთ, აღენ დაღესი საბჭოთა კავშირის დაშლის თავისი ცნობილი დოქტრინით, უბრალოდ, პიტლერის მოსწავლეა. ახლა კი შეადარეთ ის თავისუფლებები, რომლებიც პიტლერს უნდოდა ჩვენთვის მოწინააღმდეგე ჩვენივე დეგრადაციისთვის, იმ თავისუფლებებს, რომლებსაც ჩვენი საზოგადოების ლიბერალური ნაწილი და მათი დასავლური კურატორები ითხოვენ. ერთი და იგივე არ არის?

საზოგადოებრივი ცნობიერებით მანიპულირების პროცესში თავისუფლების ცნება ყველაზე გამოყენებადი. 20 წელია, ჩვენი მმართველები გვარჯობენ, რომ გვიბოძეს თავისუფლება, გავგათავისუფლეს (საბჭოთა მონობისგან), მაგრამ რაში გამოიხატება ეს თავისუფლება? თავისუფალი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც არჩევანის უფლება და საშუალება გააჩნია. მაგრამ იმისთვის, რომ ჩვენ გვქონდეს ასეთი საშუალება, უნდა გავაანდგინოთ აუცილებელი – სახლი, სამსახური, ხელფასი, პენსია, რაც მოგვცემს საშუალებას გამოვიყენოთ არჩევანის უფლება. დარბი ადამიანი არ შეიძლება იყოს თავისუფალი, იგი ყველაფერზე წავა სამსახურისა და ხელფასის გამო. გვეუბნებიან, რომ ჩვენ მივიღეთ მსოფლიოში მოგზაურობის თავისუფლება. დიახ, ეს თავისუფლებაა, როდესაც შეგიძლია შენი სიამოვნებისთვის წახვიდე სხვა ქვეყნებში, მაგრამ ამის საშუალება მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტს აქვს, ხოლო როდესაც ერის ნახევარი მიემგზავრება ლუკსემბურგის საშენებლად, ეს თავისუფლება არაა, ეს მონობაა.

ჩვენ გავგათავისუფლეს, მაგრამ გავგათავისუფლეს ჩვენი უფლებებისგან – მუშაობის, საცხოვრებლის, უფასო განათლებისა და ცანდაცვის უფლებისგან. გვეუბნებიან, რომ მოგვცეს სიტყვის თავისუფლება, მაგრამ ამ თავისუფლებას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როდესაც ხელისუფლებას გააჩნია ვალდებულება იკითხოს, ისმინოს და რეაგირება მოახდინოს. შევარდნაძის და სააკაშვილის დროსაც შეიძლება ყველაფრის დაწერა, მაგრამ რა საარგებელი მოიტანა ამან, თუ ხელისუფლება წამოწვეული პრობლემაზე არანაირად არ რეაგირებდა? სარგებელი ჰქონდა მხოლოდ ხელისუფლებას, რომელიც ამაყად აცხადებდა, რომ ქვეყანაში არსებობს სიტყვის თავისუფლება.

ლიბერალი დასავლეთელები თავისუფლებას ეძახიან იმასაც, რომ ქვეყანაში შემოიჭრა დასავლური საქონელი, ჩვენ გავხდით მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი და დღეს ყველა ადამიანს თითქოსდა შეუძლია შეიძინოს მისთვის საჭირო ნივთი. მთელი პროპაგანდა, სატელევიზიო რეკლამა, მთელი თავსომხვეული ცხოვრების წესი უბიძგებს ადამიანს სულ ახალი და ახალი საქონლის მოხმარებისა და შეძენისკენ. და ეს ხდება გაბარცვულ ქვეყანაში, რომელსაც დარბი მოსახლეობა ჰყავს! და ეს, მათი აზრით, არის თავისუფლება! ჯერ ერთი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა იმ დროს, როდესაც ქვეყანას არ გააჩნია ეროვნული ეკონომიკა და კონკურენტუნარიანი პროდუქცია, ნიშნავს განადგურებულ საკუთარი მეწარმე და გახდეს სხვისი საქონლის მოხმარებელი. მეორე, საკუთარი მოქალაქეების ორიენტირება მოხმარებაზე, მითუმეტეს სხვისი საქონლის, ნიშნავს, პიტლერის რეცეპტით გადააქციო ისინი პირუტყვებად, რომელთა ცხოვრების მთელი სიხარული და აზრი დევს ახალი ნივთის შექმნაში.

შეხედეთ ჩვენი ახალგაზრდობის უდიდეს ნაწილს, რომელიც სამომხმარებლო პროპაგანდის ქვეშ ჩამოყალიბდა. როგორი ცხოვრებისეული მიზნები აქვთ მათ? თუ იღონ მობილური ტელეფონის ახალი მოდელი, შეიძინონ ახალი მოდელის კომპიუტერი, ვინც უფრო მდიდარია – ავტომობილის ახალი მოდელი და ა. შ. ხოლო ტელერეკლამა ყოველდღე ყვრის: «გამოვიდა ახალი მოდელი» «შეიძინეთ ახალი მოდელი» «იყიდეთ, არ ჩამორჩეთ მოდას». ხალხს მაიმუნებად, იდიოტებად აქცევენ, რომელთათვისაც ბედნიერება ახალი ნივთის, ახალი საქონლის შექმნაშია. მთელ მსოფლიოში ადამიანების იდიოტებად გადაქცევილი საერთაშორისო კაპიტალი ისეთ ფულს შოულობს, რომელთა შედარებითაც სახსრები, რაც იღება ადგილობრივი ლიბერალების მხარდასაჭერად, რომლებიც დასავლურ ღირებულებებს უწევენ პროპაგანდას, – უმნიშვნელოა.

სამომხმარებლო საზოგადოების შექმნით ევროპა ჩიხში შევიდა. იმავე ჩიხშია ახლა აშშ, რომელიც ჯერჯერობით ასერხებს არაფრით უზრუნველყოფილი დოლარით, 136 სამხედრო ბაზის მუქარითა და კოლოსალური საგარეო ვალით მოყვანილი მსოფლიოს ექსპლუატაციას და საკუთარ ქვეყანაში მოხმარების დონის შენარჩუნებას. მაგრამ ევროპაშიც და აშშ-შიც, როდესაც ისინი აუაღიბებდნენ ამ მოხმარების საზოგადოებას, გააჩნდათ შესაბამისი რესურსები. და როგორი რესურსები აქვს საქართველოს? რით შეუძლია საქართველოს დააკმაყოფილოს პროპაგანდის მიერ კულტივირებული მოთხოვნები? როგორი გაიზრდება თაობა, რომელსაც მოუწევს შესაბამისი რესურსების მოხმარება? რით შეუძლია საქართველოს დააკმაყოფილოს პროპაგანდის მიერ კულტივირებული მოთხოვნები? როგორი გაიზრდება თაობა, რომელსაც მოუწევს შესაბამისი რესურსების მოხმარება? რით შეუძლია საქართველოს დააკმაყოფილოს პროპაგანდის მიერ კულტივირებული მოთხოვნები? როგორი გაიზრდება თაობა, რომელსაც მოუწევს შესაბამისი რესურსების მოხმარება?

– შეუძლია თუ არა პატარა, სუსტ საქართველოს წინააღმდეგობა გაუწიოს ამ დასავლური «ღირებულებების» აგრესიული თავსომხვევას? პატარა წინააღმდეგობაც კი ევროპული სტრუქტურების, ამერიკის ხელისუფლების მხრიდან აღშფოთების ტალღას იწვევს. ამიტომ საზოგადოებაში ხშირად გაისმის ხოლმე ასეთი მოსაზრება: შეიკრიბონ ეს ჰომოსექსუალები ერთად და იარონ თავიანთი პლაკატებით, ჩვენ რა?

– საქვე იხილა, რომ ქუჩებში სიარულით ეს არ დაძაბავდნენ. როგორც კი საზოგადოება სისუსტეს გამოიხივს, ვეიმორაობის მხარდასაჭერად გამოიყოფა უზარმაზარი თანხები და გეიაქტივისტები მოვლენ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, მოედლებს ტელევიზიებს, რადიოს, მასობრივი ტრიალით გამოუშვებენ გაზეთებს და ჟურნალებს. შემდეგ თავს მოგახვევენ იუვენალურ ოუსტიციას, რათა საბოლოოდ ჩამოაშორონ შეილები მშობლებს. 5-10 წლის შემდეგ ვეღარ ვიცნობ ჩვენს საზოგადოებას, იგი სხვანაირი გახდება. მაგრამ ამითაც არ დასრულდება საქმე. უზნეობას, როგორც ცნობილია, საზღვარი არ აქვს. პოლანდიაში, მაგალითად, უკვე შეიქმნა პედოფილთა პარტია, რომელიც ითხოვს მათი უფლებების დაკანონებას. შევიძინეთ ინტერნეტი, ანუ მშობლებსა და შეილებს, ძმებსა და დებს შორის სექსუალური ურთიერთობები ოფიციალურად ნებადართულია. ასეთივე კანონები მზადდება სკანდინავიის ქვეყნებში. აშშ-ში გახსნილია სკოლები არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ბავშვებისთვის. იურიდიული სფეროდან ქრება ისეთი ცნებები, როგორც არის «მამა», «დედა», «ქმარი», «ცოლი». საფრანგეთში, მაგალითად, ამის ნაცვლად მიღებულია «მშობელი ხ», «მშობელი 2», «პარტნიორები». ეს ყველაფერი ჩვენამდეც მოვა.

ერები, რომლებიც ამ «დასავლური ღირებულებების» კულტივირებას მიჰყოფენ ხელს, დეკლარირებენ და დაიდებენ. ამერიკასა და ევროპაში უკვე აღარ არის საყოველთაოდ აღიარებული ინსტიტუტები, რომელთაც ძალუძთ წინააღმდეგობა გაუწიონ ამ დეგრად-

ციას. პროტესტანტიზმის თითქმის ყველა შტო მხარს უჭერს ამ «თავისუფლებებს» და ისინი სინამდვილეში გადაიქცნენ ფსევდორელიგიურ სექტებად. ისინი ჯვარს სწერენ ჰომოსექსუალებს, ანუ მათ ქორწინებას ღვთის სახელით აკურთხებენ! მათვე დაიწვეს ბიბლიის რედაქტირება – იმ ადგილების ამოღება, რომლებიც ჰომოსექსუალებისთვის იდოლოგიისთვის მიუღებელია. აშშ-ში უკვე შეიქმნა ასეთი ბიბლია. კათოლიკურმა ეკლესიამაც ვერ შეძლო სახელმწიფო პროპაგანდისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობისთვის წინააღმდეგობა გაეწია და იმის შიშით, რომ არ დაეკარგა მრევლი, ასევე მიდის გარკვეულ დამობეჭვებზე. ევროპული ერები, ფაქტობრივად, მთავარი ზნეობრივი ორიენტირის – ქრისტიანული მორალის გარეშე დარჩნენ. სურთ რა, არ დაკარგონ ადამიანური სახე, არ გადაიქცნენ პირუტყვებად, ბევრი იღებს დღეს ისლამს. მასობრივად გადადიან ისლამზე ეთნიკური ინგლისელები, ფრანგები, პოლანდიელები, გერმანელები. მათ ამ რელიგიაში იხილავს სექსუალური გარყვნილების კატეგორიული უარყოფა, ოჯახის კულტი, ტრადიციების პატივისცემა, ბავშვების მაღალ ზნეობრივი აღზრდა. ნორმალური ხალხი ხდება, რომ მხოლოდ ასეთ ღირებულებებზე დაუბრუნდებიან შესაძლებელი ადამიანის, ოჯახის, ერის შენარჩუნებას.

ბევრი თანამედროვე ფილოსოფოსი, პოლიტიკოლოგი გვარჯობენ, რომ მსოფლიოს მთავალი ჩინეთსა და ისლამს ეკუთვნის. ჩინეთი დასავლეთისგან ალტერნატიული ეკონომიკური განვითარების გეზია სახელმწიფო რეგულირებით და განსაკუთრებული მსოფლმხედველობა, რომელიც ადამიანის სულისა და ასპექტიზმის ფილოსოფიას აგებულია. ისლამი რელიგიური ზნეობრივი ნორმებისა და ტრადიციული ცხოვრების წესის მკაცრი დაცვაა. ორივე შემთხვევაში საფუძვლის საფუძველი ტრადიციაა. მაგალითად დემეტოს, რომ მართლმადიდებლობა, მიუხედავად ძლიერი წინხიხა, ჯერჯერობით მყარად დგას ადამიანის, როგორც ღვთის ქმნილების, დასაცავად. არის მონაცემები, რომ ბოლო წლებში ევროპაში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სამწესობოში მრევლის რაოდენობა კათოლიკეებიდან და პროტესტანტებიდან მართლმადიდებლობაში გადმოსვლების ხარჯზე იზრდება. ეს გასახარო ტენდენციაა.

რაც შეეხება ევროპული სტრუქტურების ზეწოლას, ჩვენი საზოგადოება უნდა გათავისუფლდეს მათ წინაშე მონური თავყანისცემისგან. სასაცილო და ამაზრზეში სახანაია, როგორ ჩამოიხივს თბილისში თაღლითების ჯგუფი ევროპარლამენტიდან და გვასწავლის მათი კანონებით ცხოვრებას. მცოდნე ხალხმა იცის, რომ ევროპარლამენტის მინიმუმ ნახევარი მაინც დაკომპლექტებულია ავანტიურისტებით, მექრთამეებით, ჰომოსექსუალებით, ღვთისსულებით, რომლებმაც საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოებში არანაირი პოზიტიური საქმიანობით თავი ვერ წარმოაჩინეს. ისინი დაკავებული არიან ლობიზმით – როგორც ოფიციალურით, ისე მექრთამეობაზე აგებული. თავიანთ სახელმწიფოებში ქრთამის ადების ეშინათ და იღებენ ისეთ პროვინციულ ქვეყნებში, როგორცაა საქართველო, სადაც ამ პარლამენტარებს, როგორც კერპებს, ისე უყურებენ. სახალხო პარტიის წარმომადგენელთა ჯგუფი, რომელიც აქტიურად აკრიტიკებს საქართველოს დევანდელ ხელისუფლებას, უბრალოდ ცდილობს აითვისოს ის ფული, რომელიც წინა ხელისუფლებამ გადაუხადა. ივანიშვილმა მათ წერილები კი არ უნდა მისწეროს, არამედ ფული გადაუხადოს და ისინი მასაც ისევე შეაქებენ, როგორც მიშას აქებდნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ბერძნული ავტორები სამეგრელოს შესახებ – მორიც ვაბნიერი

უცხოელ მკვლევარ-მოგზაურთა და დამკვირვებელთა შორის, რომლებიც დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართული და კავკასიელი ხალხის მრავალმხრივი შესწავლისადმი, თავლახანო ადგილი უჭირავს ცნობილ გერმანელ მოგზაურს, გეოგრაფსა და ბუნებისმეტყველს, მიუნხენის აკადემიის წევრს – მორიც ვაგნერს (1813-1887 წწ.). მისი თხზულება XIX საუკუნის 40-იანი წლების საქართველოს ისტორიის შესასწავლად საინტერესო წყაროს წარმოადგენს. ნაშრომი 1850 წელს გამოქვეყნდა ლაიფციგში, ხოლო გერმანული ტექსტის ქართულ ენაზე თარგმნა და გამოცემა 2002 წელს განახორციელა ვია გელაშვილი. ნაშრომის სახელწოდებაა „მოგზაურობა კოლხეთსა და კავკასიის იქითა მხარეს მდებარე გერმანულ კოლონიებში“. წიგნის VIII-IX-X თავებში ვაგნერი აღწერს იმერეთსა და სამეგრელოს, ამ მხარეთა სამეურნეო და სულიერ ცხოვრებას, ეკონომიკურ მდგომარეობას, საცხოვრებლებს, ახასიათებს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენას, რუსულ საბაჟო კანონებს, რელიგიურ, ფოთის ციხეს, ზუგდიდს და დადიანთა რეზიდენციას, ხოლო და მარტვილის მონასტრებს (ვაგნერი 2002).

ავტორი მისი თხზულების მიზანს შემდეგი სახით გადმოგვცემს: „ჩემი მიზანია გარკვეული წვლილი შევიტანო ამ ქვეყნების ცოდნაში, ვიწრო ჩარჩოებში დაგვატოვო კოლხეთის თანამედროვეობა, ბუნება და ხალხი და არა ისტორიული სურათი წარმოვადგინო, რომელიც არსებული მდიდარი მასალებით ძალზე ადვილად შეიძლება გადაღებულ იქნას...“ (იქვე: 153).

ვაგნერმა 1843-46 წლებში იმოგზაურა შავი ზღვისპირა ქვეყნებში, კავკასიაში, სომხეთში, ქურთისტანსა და სპარსეთში (გელაშვილი, შესავალი წიგნისა: ვაგნერი 2002: 5). მის ნაშრომში მოცემულია მსჯელობა მეგრეთა ეთნოგრაფიული ჯგუფის შესახებ. კერძოდ, ტვილისზე საუბრისას მოგზაური შენიშნავს, რომ აქ მეგრელები და სვანებიც ცხოვრობენ. ორივე ხალხი ქართული წარმოშობისაა, მაგრამ სახის გამომეტყველებითა და ხასიათით საოცრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან: „მეგრელები ლამაზი ხალხია, კეთილშობილური სახის წყობით; მათი სახის ფერი ისეთი მკრთალია, კანი ისეთი თეთრი, როგორც შუა და ჩრდილოეთ ვეროპის უღამაზეს ხალხებში; მათ აქვთ წყნარი და მშვიდობისმოყვარე ხასიათი“ (ვაგნერი 2002: 36). სხვაგან აღნიშნავს, რომ მეგრელები და ლაზები „ქართველების ნათესავები არიან ერთი და მდებარეობით (გვართი), მაგრამ ისე განსხვავდებიან მათგან, როგორც იტალიელები და ესპანელები, გერმანელები და სკანდინავიელები“ (იქვე: 43).

იმერეთიდან გამოგზავრებული ვაგნერი 7 სექტემბერს სწევია მარანს; იქ ბრტყელი ნაგი დაუქორავებია და მდ. ფაზისზე (როინი) დაშვებულა. მოგზაური შენიშნავს, რომ თუკი ქუთაისთან როინი ჯერ კიდევ სწრაფია და უზარმაზარ ლოდებს მხიარულად ახეთქებს კლდოვან ნაპირებს, მარანს ქვემოთ მისი ბორცვა მშვიდი სიდიდით იცვლება და მდორდე მივიწინება. მცირე დაქანების გამო წყლის დინება ძლივს შეიძინევა. მდინარის ოდნავ მომადლო ნაპირები უსიერი ტყეებითა და ლიანებითაა დაფარული. ნაპირზე ნიადაგი იმდენად სველია, რომ გადმოსხვა არც ისე იოლია, რადგან ფეხი ღამის მსგავს მცენარეულ საფარში ეფლობა ადამიანს... კალაპოტის მცირე დაქანებისა და იმის გამო, რომ თავთხელი არ გვხვდება, და დიდები წყალში არსადაა, ფაზისი ორთქლის გემებისათვის გამოსაყენებელია ფოთიდან იმერეთის საზღვრამდე. ვაგნერის მონათხრობიდან ირკვევა, რომ მარანს ქვემოთ მცენარეული მიწით გავლენითელ წყალს ზედაპირსა და ფსკერზეც უგემური ჭაობის გემო აქვს და თითქმის არ დაიღვევა. იგი იმომწებს ფლავიუს არიანეს ცნობას, რომ ფაზისის შესართავთან ჯერ კიდევ იყო არგოსდროინდელი ქვის ღუზა. ავტორი იცნობს ესქილეს თხზულებასაც, სადაც ფაზისი აზიისა და ევროპის სასაზღვრო მდინარედ მოიხსენიება...

როინის სანაპირო ლანდშაფტს მოგზაური შატობრიანის მიერ აღწერილ მისიხიპისა და ოპიოს უდაბურ ადგილებს ამსავსებს. სამეგრელო ერთადერთია, სადაც ამერიკული ლანდშაფტი ამოიცნობა... იგი მცენარეული სიძლიერითა და ქალწულებრივი მშვენებით არაფრით

ჩამოუვარდება მისიხიპისა და ამაზონის გაუვალ ტყეებს (იქვე: 124-126). სხვა ადგილას შენიშნავს, რომ „გურია, სამეგრელო და იმერეთის დასავლეთი ნაწილი ძველი კოლხეთის უღამაზესი ნაწილებია, ბევრად ლამაზი ტრაპეზუნტის ლანდშაფტზე, რომელიც მე მოგვიანებით ვიხილე. ფაზისის მიდამოები ფოთსა და მარანს შორის შეიძლება უბრწყინვალესად ჩაგვეთვალოს ძველ სამეგრელოში“ (იქვე: 123).

ვაგნერი ქუთაისის შემოგარენის განსაკუთრებულ ღირსშესანიშნოად მიიჩნევს ევფუსების რუსული კოლონიის არსებობას მარანში. მისი ცნობით, ისინი არიან რუსეთის მთავრობის მიერ რელიგიური ფანატიზმისთვის ჩვეული სიმკაცრით დასჯილი და დასჯის მიზნით კავკასიაში გადმოსახლებული საჭურისები. აქ, მარანთან და ნარზანთან (Narazan – 20 ვერსზე ვლადიკავკასიიდან) მათ შეუქმნიათ სამხედრო კოლონიები. „რუსეთში არის სექტა – სტაროვერცი, ე. ი. ძველ-მორწმუნენი, – წერს ვაგნერი, – რომლის მიმდევრები ბიბლიის ერთი ადგილის მცდარად გაგების გამო გარკვეულ ასაკში ისაჭურისებენ თავს. მოსკოვში, პეტერბურგში და რუსეთის ბევრ ქალაქში, თვით რიგაშიც კი ცხოვრობენ ეს იშვიათი ფანატიკოსები, რომლებიც სხეულის სამარცხვინო დამახინჯების საშუალებით იმედოვნებენ ზეცაში დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი... მე საკმაო რაოდენობით ვიხილე ეს ხალხი, რომლებიც ერთი გერმანელი ექიმის მტკიცებით, სხვა ინდივიდებთან შედარებით უფრო მეტად დაავადებულნი ენდემური ავადმყოფობებით, წვანან ქუთაისის სამხედრო პოსტიტალში. მკრთალი მიწისფერი, სივამდრე და საზიზღარი ქალური გამოძეველება უწევრო ქოსა სხეულისა ამ საჭურისებს სხვა რუსი ჯარისკაცებისგან ერთი შეხედვით გამოგარჩევენებს“ (იქვე: 115-116).

სამეგრელოსა და გურიას შორის საზღვრად ძირითადად როინი მიიჩნეოდა, მაგრამ ვაგნერის სამოგზაურო ჩანაწერებიდან ირკვევა, და სხვა წერილობითი წყაროებითაც დასტურდება, რომ როინის მარცხენა ნაპირის ტერიტორიაც სამეგრელოს პროვინციას ეკუთვნოდა. ვაგნერის თქმით, მენავებმა გზა გაიკვლიეს უღრანში და სადამოჟამს როინის მარცხენა ნაპირზე რამდენიმე მეგრულ ქოხს მიაგნეს. მოგზაური გულისტკივილით დასძქენს: „ალბათ მოვა დრო, როცა ფაზისზე გაქვრებიან მევიდრები, ხოლო სლავი მოახალშენები დაამუშავებენ ამ უდაბურ ადგილებს და მეგრულ რასას და ენას მხოლოდ ისტორია მოგვინებს“ (იქვე: 126-127).

XIX საუკუნის დამდგენისათვის სამეგრელოსა და გურიას შორის ცილობის საგანს წარმოადგენდა პალიასტომის ტბა და მდინარეებს – ფიორსა და როინს შორის მდებარე ტერიტორია. საზღვარი გადიოდა მალთაყვის შესართავიდან მდ. ფიორას გასწვრივ შემდეგ კი საზღვრის ხაზი უხვევდა ცხენისწყლის როინთან შესართავისკენ. პალიასტომი გურიის სამთავროს ეკუთვნოდა, მაგრამ სამეგრელოს სამთავროსთან ბრძოლაში ტბაც დაკარგა და როინსა და ფიორს შორის მდებარე ტერიტორიაც (ვინცაძე 1980: 57). საპარტიო საბუთებით და XIX საუკუნის I ნახევარში შედგენილი რუკების მიხედვით სამეგრელო-გურიის საზღვარი ფიორაზე გადის (მსჯელობისათვის იხ. დუმბაძე 1957: 51-52).

სამოგზაურო ჩანაწერებში მოცემულია შავ ზღვასთან ხობისწყლის შესართავი. მდინარე კვეთს რელიეფს და ქალაქთან ერთგვარ პონტოს. იგი საკმაოდ დრმაა, მაგრამ სამ ფუტზე მეტი წყალშიდის მქონე რემბის მდინარეში შესვლა არ შეუძლიათ, რასაც ხელს უშლის ზღვის შესართავთან დაზინული ქვიშა. ამ მიზეზით ბარგის შექმნისდაგვარად სწრაფად გადმოტვირთვისთანავე გემები ყოველთვის ჩაჭობრები ღია ზღვაში გაბრუნებას. ვაგნერი გვაუწყებს, რომ როინის შესართავთან მდებარე ფოთის ნავსადგური და სამეგრელოს უკიდურეს ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარე ანაკლიაც არ არის უხიფათო ნავსადგური... კოლხურ სანაპიროს შედარებით უხიფათოდ ადგება ძალიან დაბალი წყალშიდის მქონე პატარა თურქული ცალიაქნიანი გემები, რომლებიც სამსუნიდან, სინოპიდან და ტრაპეზუნტიდან მოდიან რელიეფში და მონებითაც ვაჭრობენ. ეს გემები ასერხებენ მდინარეთა თავთხელ შესართავებში ადვილად შესვლას. მათ მეპატრონეებს შეუძლიათ ვაკე ადგილებში არცთუ დიდი ვაჭრობებით ნაპირზე

(ცალიაქნიანი გემების ამოთრევა (იქვე: 134-135)). შავ ზღვასთან ხობისწყლის შესართავს ადგილობრივი მოსახლეობა ამჟამად ბოლახს უწოდებს, რაც თურქულად „ზღვის ყურეს“ ნიშნავს.

ზღვის პირას, ენგურის შესართავის მარცხენა მხარეს, მდებარეობს ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტი ანაკლია. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იგი მოხსენიებულია ვაგნერის თხზულებაში, როგორც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სანავსადგურო ადგილი და „სამეგრელოს უკიდურესი ჩრდილო სასაზღვრო“ პუნქტი (ვაგნერი 2002:134). XVIII ს-ის ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი პუნქტს მოიხსენიებს ანაკლიას ფორმით (ვახუშტი IV, 1973:779). უცხოურ და ქართულ კარტოგრაფიულ მასალებსა და წერილობით წყაროებში დასტურდება ტოპონიმის ორივე ფორმა. ანაკლია თავის რუკაზე დატანილი აქვს კასტელს (კასტელი 1976:187; სურ. 524); ერთ-ერთ ნახატზე კი შემდეგი წარწერა აქვს გაკეთებული: „ჩვენი პატრების ნავი სოფელ ანაკლიაში“ (სურ. 473). პირველი წყარო, სადაც ანაკლია დასახლებული, არის ლუი გრანჟეს 1615 წლით დათარიღებული წერილი, სადაც იგი ამ პუნქტს პერაკლიად მოიხსენიებს. რომის პაპისადმი პატრ ძამპის მიერ 1675 წელს გაგზავნილ წერილში დასახლებულია „ანაკლია“ და „არკამა“ (თამარაშვილი 1902: 12.204-205). ანაკლიაზე ცნობები დაცულია ფრანგი მოგზაურის – ჟან შარდენის ნაშრომში (შარდენი 2011:255). ლამბერტი კოლხიდის (ოდიშის) მონასტერთა ჩამონათვალში ასახელებს ანაკლიას (d' narghia) და აღნიშნავს, რომ მისი ძველი სახელი პერაკლეა (Heraclea) იყო. მისივე მითითებით აქ უწინ საეპისკოპოსოც ყოფილა, რაც სხვა წყაროებით არ დასტურდება (ლამბერტი 2011:138). გიულდენშტედტის თქმით ანაკლიაე წოდება ციხეს ენგურის შესართავთან (გიულდენშტედტი I, 1962: 325, შენიშვნა). ანაკლიას ახსენებს შვეიცარიელი მეცნიერი და მოგზაური ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე. მან XIX ს. 30-იანი წლებში იმოგზაურა შავი ზღვისპირეთში. გერმანელი მეცნიერ-მოგზაური ედუარდ აიჰვალდი ასახელებს ანაკლიის დანგრეულ ციხეს, როგორც დადიანის საკუთრებას. აიხვალდი გადმოგვცემს მის მდებარეობასაც: „რელიეფიდან ცოტა ჩრდილოეთით, აქედან უფრო შორს, ვიდრე სამხრეთით ფოთია, ინგურზე ძვეს ანაკლია“ (იქვე:211).

ფაზისსა და მდ. ხობს შორის ვაგნერი მიუთითებს ძველ წყალდამაკავშირებელს ცივაკანალის (Tsivakanal) სახელწოდებით. ამ არსს ფრანგ თანამგზავრებთან ერთად იგი ორჩხომელით სწევია. არხისპირა მწვანე საოცრების მნახველ ფრანგებს გულთაი ადტაკცება გამოუხატავთ (იქვე: 130). აქ საუბარია არხზე, რითაც როინი და ცივა/ცია ერთმანეთს უკავშირდებოდა. მისი გაყვანის იდეა ეკუთვნოდა რუს მოხელე ლიტვინოვს. არხის გაჭრა 1804 წელს დაწყებულია, ხოლო არხით სავაჭრო მიმოსვლა – 1812 წელს (პაჭკორია 1968: 14, და იქვე მითითებული ლიტ-რა). იონა მეუნარგია იმომწებს მორენასის მიერ კავკასიის მთავარმართებელ პასკევიჩისადმი გაგზავნილ წერილს, რითაც ირკვევა, რომ 1824-1825 წლებში აღნიშნული არხის მშენებლობა განუახლებია, გაუფართოვებია და დაუმთავრებია ოდიშის მთავარ ლევან V დადიანს (მეუნარგია 1939: 107, 108). მისივე ცნობით, როინ-ცივის არხი გაუფართოვებიათ კავკასიის მუფისნაცვლის – ვორონცოვის დროსაც. არხის განახლებაში, ყულევსა და როინს შორის სამდინარო გზის წესრიგში მოსაყვანად დიდი შრომა გაუწევია სამეგრელოს მთავარ დავით დადიანს (1840-1853 წწ.), რისთვისაც მისთვის ვორონცოვის მადლობა გადაუხდია (მეუნარგია 1939: 109; პაჭკორია 1968: 14). არხის გაყვანამ ხელი შეუწყო რელიეფში ინტენსიურ სავაჭრო საქმიანობას. 1812 წლიდან ფოთიდან აქ გადმოსახლებას იწყებენ ბერძენი ვაჭრები, რაზეც უწერა დედას ამხვილებს სპასკი-ავტონომოვი (პაჭკორია 1968: 14-15; (სიხარულიძე, კეკელია VII, 2014: 87-88).

სამეგრელოზე საუბრის ვაგნერი სამოგზაურო ჩანაწერების IX თავშიც ავრძელებს და ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის რელიეფში, სადაც იგი ცივა-არხის გავლით ჩასუფლა. ავტორი მას „მეგრულ სანაპირო ქალაქად“ მოიხსენიებს და შენების წესით გერმანულ იარაღებს აღარებს, „შემდგარს ორი უსასრულოდ გრძელი, ხის ბარაკის ტიპის სახლების რიგისგან, რომლებიც მიწიდან ერთი ფუტის

სიმაღლის ხის ბოძებზეა შემდგარი“ (იქვე: 133).

მოგზაურის შეფასებით ნოვოროსიის ქალაქებიდან რელიეფ-კალე მსგავსებას პოულობს დონის კახაკთა დედაქალაქ ნოვონერკასკთან (იქვე).

გეოგრაფიული სახელწოდების – რელიეფ-კალეს საისტორიო ლიტერატურაში დამკვიდრება უკავშირდება XIX საუკუნის დასაწყისიდან ხობისწყლის შესართავთან არსებულ ნავსადგურში რუსეთის ჯარის ნაწილების ჩაყენებას. ეს ნავსადგური მანამდე ყულევის სახელით იყო ცნობილი და მისი ისტორია 1804 წლიდან, ანუ იმ დროიდან, რაც ყულევი და მისი მიდამოები რუსეთის ქვეითმა პოლკმა დაიკავა, სულ სხვა გზით წარმართა (პაჭკორია 1968: 3).

ყულევი სოფელი და თემის ცენტრია ხობის მუნიციპალიტეტში, შავი ზღვის ნაპირზე, ხობისწყლის შესართავთან. ქალაქ ხობს 18 კმ-ით არის დაშორებული. 3 ცხადია ის დაკვირვებით, „სოფლის მიხედვით მოსახლეობა განთავსებულია ერთ ქუჩაზე, რომელიც მდ. ხობისწყლის მარჯვენა ნაპირს გასდევს სოფ. ყორათიდან ისტორიული ციხესიმაგრის ნანგრევებამდე“ (ცხადია III, 2007: 220). სახელწოდების იშვიათი ვარიანტია კულე. ნ. ასათიანის ვარაუდით, სოფლის სახელწოდება თურქული ყულიდან („მონა“) უნდა წარმოდგებოდეს. არგუმენტი: „ხობის შესართავიდან ხომ ოსმალებს ქართველი ტყვე მონები გაეყვდათ“. კერძო საუბარში გამოთქმულ ამ აზრს იხიარებს მ. პაჭკორია და დასძქენს: „ასეთ მოსაზრებას იქნებ ესმებურება „ყულისკარი“, რომელიც ზუგდიდის რაიონში ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება იყო“ (პაჭკორია 1968: 8; სქოლიო).

მონის აღმნიშვნელი სიტყვა „ყული“ არც თურქული წარმოშობის სიტყვაა და მას არც „ყულეკთან“ აქვს რაიმე საერთო. ყულევის ფუძე არაბული „კულეს“ სახე-ნაცვალად ფორმაა (ყულე), ხოლო -ვე გეოგრაფიულ სახელთა სუფიქსია. ოსმალების ჯამს იქ „კულედ“ იწოდებოდა თავად ჯაიანის კოშკი. ამ კოშკს XIX ს-ის დამდეგს რუსული სიმბარეც (რელიეფ-კალე) მიემატა. ამ სოფლის ერთ-ერთი გვიანდელი სახელი იყო რელიეფ-კალე: „რელიეფი“ ფრანგული სიტყვაა და „მცირე ციხეს“ ნიშნავს, ხოლო „კალე“ არაბულად „ციხეა“. რელიეფად იწოდა რუსთა მიერ 1804 წელს აგებული ციხე (Земляной редут) (სიხარულიძე, კეკელია VII, 2014: 86). კ. სპასკი-ავტონომოვი სახელწოდება „რელიეფ-კალეს“ ხობის შესართავთან კახაკების დამკვიდრებას (1804 წ.) უკავშირებს და წერს, რომ ხობისწყლის ზღვასთან შესართავთან, მდინარის მარცხენა ნაპირზე მათ ააგეს რელიეფი, ხოლო იქ, სადაც ხობი და ცივი უერთდება ერთმანეთს, შეიმჩნევა გარედან აგურით მოპირკეთებული ქვის ორი კედელი. ამ ძველი კედლების ნანგრევებზე ნათლად შეიმჩნევა ნაყარი მიწით შემადგენელი ადგილი, რაზეც თავადმა ჯაიანმა ხის კოშკი ყულევი ააშენა. იქ მდებარე დაცვა მეთვალყურეობას უწევდა შავი ზღვის სანაპიროს. ტყით დაფარული კოშკი ზღვიდან შეუმჩნეველი იყო. სპასკი დასძქენს, რომ სწორედ კახაკების მიერ აგებულმა რელიეფმა და ჯაიანის ძველმა კოშკმა კულემ, ანუ კალემ მისცა სახელი დღევანდელ რელიეფ-კალეს (Спасский-Автомов) 1847, 55, VIII.25; პაჭკორია 1968: 6-7; მისივე 1974: 34).

რელიეფ-კალეს ისტორიის მკვლევარი მამანტი პაჭკორია იმომწებს ფოთის ნავსადგურის პროექტების შედგენასა და მშენებლობაზე მომუშავე ინჟინერ მკურავის ცნობას, რომლის თანახმად, ხობის სანაპიროზე დაბინავებულმა ბელევის სამხედრო ნაწილებმა მალე იქ გააშენეს „Земляной редут. редуту этому прибавили слово Кале, что значит „крепость“ (პაჭკორია 1968:7). რელიეფ-კალეს ციხის მშენებლობა რამდენიმე წელიწადს მიმდინარეობდა, რასაც მოწმობს 1808 წლის 24 იანვრის ცნობა, კერძოდ, მთავარმართებლის მიერ სამხედრო მინისტრ პროზოროვსკისადმი გაგზავნილი მოხსენება, რაშიც აღნიშნულია: „რელიეფ-კალეში მე ისეთი სამხედრო სიმაგრის აგება ვუბრძანე, რომ ჯარის მცირე რიცხვითაც შეიძლებოდა მტრის ყველა შემოტევის შეგერიება. ციხე-სიმაგრის მშენებლობა მალე დათავრდება“-ო (იქვე: 31). მდინარის მარცხენა მხარეს შემორჩენილ აღნიშნულ ნაწიხარს ადგილობრივი მოსახლეობა ჯიხას „ციხის“ სახელით მოიხსენიებს.

იბორ კეკელია,
ისტორიის დოქტორი
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



საბჭოთა კავშირში მეოცე საუკუნის სამოციან წლებში გადაიდგმნა მხატვრული ფილმი სახელწოდებით "ვინა ხარ შენ, დოქტორო ზორგე", რომელიც ცნობილი საბჭოთა მხატვრის რიჰარდ ზორგეს სახ- იფათო ცხოვრებასა და დრამატულ აღ- სასრულს მიეძღვნა. ფილმში მხატვრულად იყო გადმოცემული უშიშარი მხატვრის როლი და მისი დამსახურებაზე საბჭოთა სამშობლო ვინაა შენ, რომელიც რამდენიმე თვით ადრე აცნობა საბჭოთა ხელმძღ- ვანელობას ფაშისტური გერმანიის მიერ დიდი სამამულო ომის დაწყების თარიღი.

ვინა ხარ შენო – ამ შეკითხვას ქართული ადამიანი ორ შემთხვევაში დაუსვამს პიროვნებას. პირველ შემთხვევაში მაშინ, როცა სურს უფრო ახლოს გაეცნოს იმ ღირსეულ პიროვნებას, რომელიც, სამ- შობლოს საკეთილდღეოდ, უადრესად სარისკო საქმეშია ჩართული და მიზნის მისაღწევად სიცოცხლის დაკარგვაც კი არაა მიაჩნია. მეორე შემთხვევაში კი მაშინ, როცა მის წინაშე სრული არარაობა დგას, რომელიც ცდილობს მხოლოდ სიტყვებით დაიმკვიდროს სამშობლოსათვის თავდადებული რაინდის სახელი.

ამრიგად, შეკითხვის პირველი ვარიანტი ეკუთვნის საბჭოთა მხატვრულ რიჰარდ ზორგეს, რომელმაც სამშობლოს ძლიერებასა და კეთილდღეობას ანაცვალა საკუთარი სიცოცხლე. შეკითხვის მეორე ვარიანტი კი გვეკუთვნის შენ, დოქტორო მარგველაშვილო, რადგან ხალხის წინაშე დადებული ფიცისა და სამშობლოს მოხალატე არარაობა ხარ, და თუ რატომ, ამას ახლავე ავიხსნი!

სამწუხაროდ, მე შენ მოგეცი ხმა სარეზიდენტო არჩევნებზე, მაგრამ აქვე ვადიარებ, რომ ხმა მოგეცი არა შენ, არამედ შენს რეკომენდატორ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც საქართველო დაიხსნა ნა- ციონალური სახადისაგან და გულწრფე- ლად მეჯერა, რომ მის მიერ "გაპრეზიდენ- ტებული" ადამიანიც დაუნდობელი იქნე- ბოდა იმ დორბლიანი სააკაშვილისა და მისი ნაცბანდის მიმართ, რომლებიც ყვე- ლაფერს აკეთებდნენ საქართველოს გასაქრებად მსოფლიო პოლიტიკური რუკი- დან. თუმცა, მაშინ არავინ ვფიქრობდით იმაზე, რომ ავადსახსენებელი "თავისუ- ფლების ინსტიტუტის" დამფუძნებელი ვიგინდარა ვერასოდეს გახდებოდა ქართველი ხალხისა და საქართველოს ერთეული მსახური. მაგრამ შენ მოახერხე ის, რაც ვერ მოახერხა უამრავმა ქვემდროშა პოლიტიკოსმა და ივანიშვილის ნდობა მოიპოვე, რაც შემდეგ ბოროტად გამოიყენე. გასაკვირი ამასში არაფერია, რადგან შენ ფსიქოლოგიის დოქტორი ხარ და ფსიქოლოგებმა ყველაზე კარგად იციან როგორ უნდა მოახდინონ ფსიქოლოგიური ზეგავლენა ადამიანზე, რათა მისი სრული ნდობა მოიპოვონ.

რომ არა ივანიშვილი, შენთვის ხმას არავინ გამოიმეტებდა ოჯახის წევრების გარდა, თუმცა ოჯახისა და ქართული სი- წმინდებისადმი შენს დამოკიდებულებაზე შენი ცხოვრების წესი მოწმობს, რომელზეც მე ყურადღებას აღარ გავამახვილებ გარკვეული ეთიკური მოსახრებების გამო. ჩემს მეზობელ ხარბა გვიან რომ მივლო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწი- ლეობა, უეჭველია, ივანიშვილის ზურგის გარეშე, შენზე მეტ ხმას მოაგროვებდა.

თუმცა, აქ არსებობს იმის საფუძვლიანი ვარაუდი, რომ შენ სწორედ ამერიკელებმა "შეგტენეს" ივანიშვილის გუნდში, რათა რე-

სუბლიკვლებთან ერთობლივი ძალისხმევით გადაგერჩინათ სიბოროტის ბუდედ ქვეყნული პოლიტიკური კასტა – "ნაციონალური მოძრაობა"! და აი, გაინადლე რა შენი, წამსვე იქვე იმად, რაც ადრე იყავი.

ფსიქოლოგიაში ამას "ატაჯიზმს" ეძახიან, რაც ნიშნავს ცოცხალ ორგანიზმში ისეთი ნიშნის გამოვლენას, რაც დამახასიათებე- ლია მისი წინაპრისათვის. სწორედ ამ ფსიქოლოგიური ფერნომენის გაცდენით გარდაიხსნა პირწავარდნილ ნაციონალად, რადგან ასეთი იყავი და ასეთად დარჩები მარად! ეს დაავადება კი განსაკუთრებით პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გამოავლინე, რადგან, დაგავიწყდა ყველა შენი ფიცი და დაპირება და სულმდებლურად განუდექი საკუთარ პიროვნებას.

ამიტომ დაებადა ქართული ელექ- ტორატის შენს მომხრე ნაწილს საკრალური შეკითხვა: "შინა ხარ შენ, დოქტორო მარგველაშვილო?!"

შენი პასუხი უადრესად მარტივი იქნება: "შე ვარ ლატენტური (ფარული) ნაციონალი, რომელმაც თავისი გაინადლა, საქართველოს პრეზიდენტი გახდა და ახლა მხოლოდ საკუთარი (ნაციონალური) გუნდის გადაჩინებაზე უნდა ვიზრუნო..."

ნაციონალებისადმი შენს ზრუნვაზე კი თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მათი ჩვეულებისამებრ უდალატე კაცურ სიტყვას, უარი თქვი შენთვის სპეციალურად გარე- მონტებულ შენობაზე ატენის ქუნაზე და სინდისის ქნჯის გარეშე შესახლდი იმ საპრეზიდენტო რეზიდენციაში, რომელსაც თავადვე უძახდი სიბოროტის ბუდე და ახალგაზრდებს ჰპირდებოდი, რომ სსწავლებლად გადააკეთებდი! ამრიგად, შენი არარაობისა და პატარა კაცობის დამადასტურებელი საბუთი გახლავთ ის, რომ დასპრეზიდენტო მდგაწვილების დაწვე- ბისთანავე ალოკე გადაფურთხებული, უზ- ნეოდ გადააბიჯე საკუთარ დანაპირებს და დაიკავე არანორმალურად დიდი შენობა, რაც დღეს ნაციონალებისაგან ჯანდაცვილ საქართველოს დამატებით 6 მილიონი ლარი უჯდება. ამის შემდეგ კი მოითხოვე, რომ უჯრადობამ პატივი გცეს. "პა- ტისცავები" ნამდვილად ხარ, მაგრამ სულ ხვავარი პატივისა...

ხარ თუ არა სრული არარაობა ამგვარი უიღორი საქციელის ჩადენის გამო? – რა თქმა უნდა – ხარ, არა მხოლოდ არარაობა, არამედ მიკროსკოპულად პატარა კაციც!

შენი არარაობისა და არაკაცობის დამადასტურებელი საბუთი გახლავთ ისიც, რომ პრეზიდენტად არჩევისთანავე თანაშემწედ აიყვანე პირწავარდნილი ნა- ციონალის მიხედილ მჭავარიანის ძმა, ასევე პირწავარდნილი ნაციონალი დავით მაჭავარ- იანი. შენ შეგძლია თავი იმით იმართლო, რომ საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის პრეზიდენტი ხარ და ყველაზე თანაბარი უნდა იზრუნო, მაგრამ ახლავთარბი მორალური და იურიდიული უფლება არ გაგაჩნია, რომ ხელისუფლებაში დააბრუნო ის ნაციონალები, რომელთაც საკუთარი აკაცობის გამო უარი უთხრა ქართველმა ხალხმა 2012 წლის არჩევნებზე.

– აი, კიდევ რატომ ხარ არაკაცი და არარაობა!

მაგრამ შენ მაინც არ გაითვალისწინე ქართველი ხალხის გულისწყრომა და მორიგ მრჩეველად დაიხვი "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ყოფილი ხელმძღ- ვანელი კახა კუპორიძე, რომელიც ისეთივე

ლატენტური ნაციონალია, როგორც ლაშა ტულუში, ნინო ლომჯარია, ეკა გიგაური და სხვა არასამთავრობოთა მესვეურები.

ჭეშმარიტი და უტყუარია უძველესი ქართული ხალხური შთავაზება: "არ გას- წორდების კული ძაღლისა, არცა კირჩხიბი მართლად ვლის...!"

შენი არარაობისა და ნაციონალობის დამადასტურებელია ისიც გამოდგება, რომ პარლამენტში შენი გამოხატვის მთავრობის იგნორირებით გაწეული გაიქცევი და ნაციონალების ავახაკობის გამპრავებელი ტელეარხ "რუსთავი-2"-ის უჯიშო წამყვანს გიორგი გაბუნიას ჩაუხტი კალთაში.

ერთმენტს რომ უკმევდით შენ და გიორ- გი გაბუნია – რაც ივანიშვილს სურვი აქ- ცივ, იმის შემდეგ იმაზე შენმა რეიტინგმაო – ვის ატყუებთ თქვე უბადრუკო ნაცებო? შენ არასოდეს გქონდა რეიტინგი და ყოველთვის ბიძინას პოლიტიკური ჩრდილი იყავი, ახლა კი პამლეტის მამის ანრდილი- ით უსხეულო არსებად უნდა იბოდილო პოლიტიკურ ტალანტზე, ვიდრე ხარ ის, რაც და ვინც ხარ, მაგრამ მალე მოედება ბოლო შენს საპრეზიდენტო ნირვანას. სააკაშვილმა იმით მაინც დაგვაძახსოვრა თქავი, რომ შეურაცხადი და დორბლიანი მექალბთანე იყო. რომელიც სექსუალური სისუსტით (ეს სინდრომიც ფსიქიკისა და ფსიქოლოგიის სფეროს განეკუთვნება) გაბოროტებული სცემდა და ძუძუებს აკ- ბენდა დედაკაცებს. შენ კი მხოლოდ იმით თუ გაგავსებენ, რომ ცრუ დაპირებების გაცემა და წინდების ქსოვა ვეხერხებოდა.

რაც შეეხება შენი და ალასანიას რე- იტინგების ზრდას, ეს ამერიკული სულ- წაწყმედილი და სიცრუეზე დაგეშილი არასამთავრობოების "IRI"-სა და "NDI"- მიერ გამოგონილი მორიგი დეზინფორმა- ციაა, რათა არეულობა შეიტანონ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. არც შენ ემეტები ამერიკელებს დასაკარგად და არც ირაკლი ალასანია, რადგან მომავალ არჩევნებში თქვენზე სურთ ფსონის დადება. ამიტომაც ცდილობენ სიყალბეებით ავიწიონ ის რე- იტინგები, რომელიც ოდნავ ნულს ზემოთ დგას და ამ გზით ცდილობენ საკუთარი სურვილის რეალობად წარმოჩინას. ან კი რამ უნდა გაზარდოს თქვენი რეიტინგი – ალასანიას უწყებაში დიდძალი თანხის გაფლანგვა თუ იმან, გაბანჯგვლული პირი რომ გაიპარეს. განა სხვა რამე სარეიტინგო მაჩვენებელი გაგაჩნიათ?

მართლა ვაი ჩვენს პატრონს, თქვენაირი არარაობების გადამკიდებებს!

რაც შეეხება შენს უმაღლეს მთავარსარდლობას, ასე საგულდაგულოდ რომ იბრუნებ, შენი ბუნებიდან გამომდ- ინარე, ისეთივე სარდალი იქნები, როგორც ყვარყვარე თუთაბერი იყო!

არავინ დაუბს იმაზე, რომ შენ განათლე- ბული ადამიანი ხარ და არც კულტურა მაკლია, მაგრამ ნაციონალების გვერდით დეგარო ხალხი, ჩემი ღრმა რწმენით, "კულ- ტურანასწავლი" ხალხია. კულტურას კი სწავლა კი არა, შესისხლხორცება სჭირდ- ება, მაგრამ, როგორ შეიძლება დაბადებიდან სულით ხორცამდე კულტურული იყოს ადამიანი, რომელიც მკვლეელი და დაშნაკი ტერორისტი სააკაშვილისა და მისი ნა- ციონალური ბანდის გვერდით დადგება და მათ სულსეკვეთებას გაიზიარებს.

ახლა, თავად დაფიქრდი, ხართ თუ არა იმ ტრადიციულას მაღალი კულტურის მქონე ადამიანი, რომელმაც დღემდე მოად- წვეინა საქართველოს! სწორედ აქედან

გამომდინარე ვსვამ ამ წერილის სათაურში გამოყვანილ შეკითხვას: "შინა ხარ შენ, დოქტორო მარგველაშვილო?!"

შეიძლება ფსიქოლოგიაში შენსავით ვერ ვერკვევი (თუმცა მეც წაკითხული მაქვს რულოფ შტიანერის "თეოსოფია", კაპანელის "სული და იდეა – ბიოფსიქიზმი და კოსმიზმი", ბერდიაევისა, სარტრის, კაფკასა და სხვა ფსიქოლოგთა ფუნდა- მენტური ნაშრომები), მაგრამ კარგად ვუხსმის იმ ადამიანსა, რომელსაც რეალური ფუნქ- ცია არ გააჩნია და თავად ცდილობს საკუთარი არარაობის დამკვიდრებას პოლი- ტიკურ ცისკიდურზე. დღეს შენც სწორედ ასეთი "ქორწილის გვერდელი" ხარ, რომელ- საც არავინ არაფერს ეკითხება, მაგრამ თავშივე უნდა გცოდნოდა, რომ საპარლა- მენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი, რომელ- იც ჩამოშორებულია ადამსრულებად ფუნ- კციებს, სიმბოლური ფიგურაა, მაგრამ შენი ბუნებიანობითა და "ძალად მაცნობების" სინდრომით იმდენად გააბეზრე ყველას თავი, რომ არამც თუ სიმბოლურ, არამედ კომიკურ პერსონად მოიაზრები!

დღეს ნამდვილად უფუნქციოდ ხარ და ამიტომაც წარმოინდო "არამკითხე მოამბედ" პარლამენტში გამოხატვისას, როცა ყველაფერს მიერ-მოედე, ისეთ საკ- ითხებს შეეხე, რომელსაც შენ არავინ გეკ- ითხება და საათნახვერის განმავლობაში ტყუილ-უბრალოდ აზანზარებდი ჰაერს პარლამენტის დარბაზში უშიშარს და არაფრისმთქმელი მოხსენებით.

შემრცხვებოდა შენს ადგილზე, მაგრამ უპირო კაცმა რა იცის, რა არის სირ- ცხვილი!

შენ ახლა ერთადერთი დამცველი გყავს – შენსავით უპირო და უტყუარი ნა- ციონალური მოძრაობა!

"ქართულ ოცნებას" რას აბრალე საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის დანაშაუნიანობას, როცა ეს ინსტიტუტი ცვლილება შენმა ამფსონმა ნაციონალებმა შეიტანეს კონსტიტუციაში და გააძლიერეს პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც თავიანთი თავკერძა დორბლიანი ბელადის სააკაშ- ვისათვის ჰქონდათ გამოხსული. და რომ არა ბიძინა ივანიშვილის ჭეშმარიტად ის- ტორიული ნაბიჯი, საქართველო კვლავაც დარჩებოდა ავადსახსენებელი ნაცების მონობაში, რომელთაც საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადატანით ეწა- დათ აღმოსავლეთ საქართველოს დედა- სამშობლოსაგან მოწყვეტა.

თუ ამდენს ვერ ხვდები, მაშინ არც თუ გონიერი არსება ყოფილხარ, ხოლო თუ ხვდები და მაინც ნაცებისაკენ მიგვიწევს გული, მაშინ თავს უფლებას მიეცევი არა მხოლოდ არარაობა, არამედ არაკაცი და უფრო მწვავე ეპითეტიც კი გიწოდო!

მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების დროც მალე დადგება და მაშინ გაიგებ თუ როგორი მიკრორეიტინგი გაქვს მოსახლეობაში, თუ ქართველმა ერმა მან- ამდე ვაი ამოგლო მამაპაპული ჭიტიდაცი და არ გაგისტუმრა იმ პოლიტიკურ მოუსავლეთში, საითკენაც შენგან ესოდენ მოწონებულ და ერისაგან მოძულებულ ავადსახსენებელ პოლიტიკურ სექტას – "ნაციონალურ მოძრაობას" ადებინა გეზი! ადილოდ და ხვალეო!

მანამდე კი, კეთილი ინებე და გაცევი პა- სუხი ქართველი ხალხის შეკითხვას: "შინა ხარ შენ, დოქტორო მარგველაშვილო?!"

როლანდ ჯალაღანია, "აიპა"-ს და "ფაზისი"-ს აკადემიების წევრი

ლაბოლდების ნაკრავის დირექტორს მანქანაში

ცხონებულმა ბესო ხარბიანმა, ვიდრე დაქირავებული ქილერი საკუთარ სადარ- ბაზოსთან განსაკუთრებული ცინიზმით მოკლავდა, ერთ-ერთ ტელეინტერვიუში განაცხდა: საქართველოში ისე გაიდგა ფეხი დაუსჯელობის სინდრომმა, რომ მალე სიცილიური ვენდეტა ბავშვურ თამაშად მოგვეჩვენებაო.

ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ხელისუფლებაში მოსულმა "ქართულმა ოცნებამ" ვერა და ვერ მოახერხა ქვეყანაში სასტიკი დამნაშავეობით გამორჩეული "ნა- ციონალური მოძრაობის" საბოლოოდ განეიტრადება, თავისუფლებაზე გაუშვა მთავარი დამნაშავეები მიშა სააკიანი და ზურაბ ადიუშვილი, რომლებიც უცხოეთიდან გვემავენ იმ გამორჩეული პიროვნებების მკვლელობას, რომლებიც მკლავ- მოუღლეად იბრძვიან ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენისათვის.

საამისო რესურსები რომ თავსესაყრე- ლად გააჩნიათ ნაცდამნაშავეებს, ისიც

მეტყველებს, რომ სამეგრელოში აღმოჩე- ნილი იქნა დიდძალი იარაღის სამაღალი, რომელიც წინასწარ დაარეზერვებს ნაცკ- რიმინალებმა და გამორიცხული არ არის, რომ ამგვარი რეზერვები სხვა რაიონებშიც ბლომად ჰქონდეთ მომარაგებული და ხელ- საყრელ მომენტს ელოდნენ ჩრდილიდან გამოსასვლელად. ეს კი სამოქალაქო ომში გადაიზრდება, რასაც მოჰყვება მსხვერპლი. ადინშული კიდევ ერთხელ დასტურდება ამას წინათ კახეთში გამოვლენილი ფაქტით. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების აღმინისტრაციის ხელმძღვანელს გიორგი სულამანიძეს ავტომანქანის საბარგულში ხელყუმბარა ჩაუდგეს და წერილი დაუ- ტოვებს, სადაც წერია: აქედან წადი, თორემ მოკლავთ! გიორგი სულამანიძის განცხ- ადებით ხელყუმბარა ნახევრად საბრძოლო

ხელყუმბარა ჩაუდგეს და მოკვლით დაემუქრენ

მდგომარეობაში იყო. ეს ფაქტი გიორგი სულამანიძეზე განხორციელებული მუქარის მეორე შემთხვევაა. სულამანიძის თქმით, მანქანის საბარ- გულში ხელყუმბარის არსებობის შესახებ მას შემდეგ შეიტყო, რაც მანქანით გადაადგ- ილებისას საბარგულში დაუმარტებლად ჩადებულმა ხელყუმბარამ მოძრაობა დაი- წყო და ხმაური გამოიწვია. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენ- ტრს გიორგი სულამანიძემ განუცხადა, სავარაუდოდ ვიღაც დაინტერესებული პირი ცდილობს, მას სამსახურიდან წასვლა აიძულოს. სულამანიძის ვარაუდით, ეს თანამდებობის დაკავების ინტერესით უნდა იყოს გამოწვეული. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორ- მაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსით 151-ე მუხლით დაიწყო, რაც მუქარას

გულისხმობს. საქმეს შს ლაგოდეხის რაიონული სამმართველო იძიებს. პოლი- ციას ამ დრომდე არავინ დაუკავებია. გიორგი სულამანიძე ლაგოდეხის დაც- ული ტერიტორიის ადმინისტრაციის დირ- ექტორად 2010 წლიდან მუშაობს. ეს მასზე მუქარის პირველი ფაქტი არ არის. აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშნვიდან 3 თვის შემდეგ მის სამსახურებრივ ავტო- მობილს დაუდგენელმა პირმა მუხრანის შლანგი გადაუჭრა. გამოძიება ამ ფაქტზეც დაიწყო, მაგრამ მოგვიანებით პოლიციამ ძიება იმ მიზეზით შეწყვიტა, რომ მიყენე- ული ზიანი 70 ლარს არ აღემატებოდა. შეგახსენებთ, ბოლო პერიოდში ლაგოდეხ- ის დაცული ტერიტორიების თანამშრომ- ლები აქტიურად ებრძვიან ბრაკონიერებს. ფორტმახეების საშუალებით 2013-2015 წლებ- ში ნაკრძალში სამართალდარღვევის 30-ზე მეტი ფაქტი გამოავლინეს.

თქვენი ქართველობისა მეს მრსხვენი, ქალბატონო დოდონა



ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ქართველობა შემრცხვებოდა!

ამ კომენტარებმა გამახსენა ერთი შემთხვევა, რომელიც ამერიკაში მოხდა და რომელიც შეიძლება საქართველოშიც იცინა. ყუმი და ბნელი ხალხი ყველა ქვეყანაში ბევრია. ერთმანეთს პოლიტიკური სიტუაციის გამო დაპირისპირებულიც უამრავი. ასეა ამერიკაშიც. მაგრამ ერთხელ ერთ ქალაქში მომაკვდავი ბავშვის (კიბო ჰქონდა უკანასკნელ ფაზაში) დედამ ტელევიზორით მიმართა მაყურებელს, შეილი მიკვდება და ისურვა, ვინმემ საშობაო სიმღერა ("Silent night, Holy night") მიმღეროსო. ეს საყოველთაოდ ცნობილი სიმღერაა და მას ყოველთვის მღერაინ შობის დღეებში.

იმევე საღამოს ნახევარი ქალაქი თოვლში იდგა იმ ბავშვის სახლის წინ და უმღეროდა მას ამ სიმღერას. დარწმუნებული იყავით, იქ სრულიად გაუნათლებლებიც იყვნენ და განათლებულებიც, რესპუბლიკელებიც და დემოკრატებიც, რომლებიც პოლიტიკურ დებატებში მზად იყვნენ ერთმანეთს ყელში სწვედნოდნენ.

ბილი არიან დღეს საქართველოში პირველადნილი სისხლის სამართლის დამნაშავეები მიხეილ სააკიანი, ზურაბ ადიეშვილი, უდესიანები, თოფურბეგები, კოდუბები, ახალაიები, ქარდავები და სხვანი და სხვანი.

ამაზე თუ დაფიქრებულხართ, ქალბატონო დოდონა?

ან იქნებ სულ ახლახან დადგინდა სისხლმა დაგამწუხრათ, თავის სადარბაზოში რომ ადინეს მკვლელებმა ტყვეთი გახვერტილი თავიდან ქართველ ვაჟბატონებს ხარბიანს?

რადაც, არ გამოსტყვივის ამგვარი გულისტყვიელი თქვენს ზემოთმოყვანილ საძრახის ოპუსში!

რა ვქნათ ახლა, ჩამოვაწეროთ ნაციონალებს მათ მიერ ჩადენილი მკვლელობები, გირგვლიანს, ვაზაგაშვილს, შარბიძეს, რომბაქიძეს და კიდევ 114 ახალგაზრდას რომ მოუსწრაფეს სიცოცხლე ხაზგასმული ცინიზმით, დღისით-შისით, შუა ქალაქში, ყველას თვალწინ?

ნაცთა ავადსახსენებელი სისტემის მიერ იმ 600 პატიმარ ქვეყელი ადამიანის სულს ვინ ამწყალოებებს, დაშნაკებმა და მათმა დორბლიანმა ბელადმა სააკიანცმა ტანჯვითა და წამებით რომ ამოხადეს სული ქართულ ციხეებში?

იქნებ იმან მოგხიბლათ სააკაშვილში, სტალინის მშობლიურ ქალაქ გორშიც რომ აიღო სტალინის ძეგლი, ააფეთქა გამარჯვების მემორიალი და სხვა. იქნებ თქვენს მასპინძელ ამერიკელებს მაინც ჰკითხოთ, რა როლი ითამაშა სტალინმა და საბჭოთა ხალხმა ფაშისტური გერმანიის დამარცხების საქმეში?

ვინა ხართ, რა ჯიშისა და ჯილაგის ადამიანი ხართ, ქალბატონო დოდონა, რომ ამერიკელ ბავშვს მისტირებთ, მაგრამ იმ ბავშვების ბედი არ გაწუხებთ, სააკაშვილისა და მისი ბანდის ბოროტების წყალობით, 2008 წლის პროვოკაციული ომის შემდეგ დევნილებად რომ აღმონდნენ საკუთარ სამშობლოში.

ამ პროვოკაციით ხომ სააკაშვილმა და მისმა დანაშაულებრივმა გარემოცვამ, პუშკინიკარული დახმარების სახით, საქართველოსათვის გამოყოფილი 4,5 მილიარდი დოლარი ყანადღებდ მითაცა, რომლის საკმაო ნაწილი იმ სანდრა რულენის კეთილდღეობას მოხმარდა, თქვენ რომ თანამედროვე ადამიანის იდეალად მიგანიათ!

ნუთუ ფიქრობთ, რომ ხალხში უსაბოლოოდ ამერიკელ ბავშვს რომ მისტირებთ (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უმანკო სული), იქნებ იმაზეც გამოეკეთებოთ გულისტყვიელი, შეილის საფლავს რომ დააკლეს გამწარებული მამა იური ვაზაგაშვილი?

ამას ხომ ტერორისტი დაშნაკის გარდა არავინ გააკეთებდა, რა სახელითაც ცნობ

ფუძელოდ გავრცელებოდა ხმები იმის თაობაზე, რომ საავადმყოფოს "სანიტარი" სანდრა რულენი ადამიანის ორგანოებით ვაჭრობდა. ყვითელი ფერის პოლანდიური ავტობუსებით (საქართველოში რომ "სანდრაბუსებს" უწოდებენ) რომ ვაჭრობდნენ სანდრა და მისი მშობლები და ხელიც რომ მაგრად მოითბეს, ეს ხომ წყალშეუვალი ფაქტია!

ამრიგად, ქალბატონო დოდონა, როგორც ამბობენ: "კემლი უცეცხლოდ არ ჩნდება" და არც ფულის მოხვეჭის მანიაკალური სურვილი გამოიციხავს კანონდარღვევას!

თქვენ კი ყოველივე ამას არად ადგებთ და სატანის ანგელოზად წარმოქნას ცდილობთ, ქალბატონო დოდონა, რაც თავისთავად მიანიშნებს თქვენს სუბიექტურ (თუ დანაშაულებრივ არა) მიდგომაზე არსებული რეაქციებისადმი.

საინტერესოა, რითი მოგხიბლეს ასე დორბლიანმა სააკაშვილმა და მისმა ნაცბანდამ, ქალბატონო დოდონა, ჭეშმარიტებასთან ზურგშექცევით რომ დგახართ და ამ უჯიშოებსა და უსისხლო არამზადებს მისტირებთ ცრემლის ღვარღვარით?

ტყუილად ცდილობთ ქართველი ხალხის მიერ ისტორიის სანაგვეზე მოსროლილი უჯიშო დაშნაკებისა და მკვლელების გათეთრებას, ქალბატონო დოდონა, რადგან, "არ გათეთრდების ყორანი..."

დამნაშავის საქციელის გამართლება კი არანაგები დანაშაული რომაა, ეს უნდა იცოდეთ, თუ ნამდვილი პროფესორი და საზოგადო მოღვაწე ხართ, რადაც საკუთარ თავს მიიჩნევთ!

მაგრამ, ღმერთო ნუ მიწყენ და, დიდად მეპარება ეჭვი თქვენს მეცნიერულ ღირსებებში, რადგან მეცნიერის ყველაზე დიდი შემოქმედებითი კაპიტალი და ცხოვრებისეული კრედიტის ობიექტურობა, ჭეშმარიტებისადმი მსახურება და კეთილსინდისიერება გახლავთ!

სწორედ ამიტომ, თქვენი ქართველობისა მეც მრცხვინია, ქალბატონო დოდონა!

P.S. რაც შეგეხება ჩვენ - ქართველებს, რომლებთანაც თავის ვატოლებისა ასე საშინლად გრცხვინიათ, იმის გათვალისწინებით, რომ ნაციონალური მოძრაობა უკვე მკვდარია, ქართველი ერი დიდი სიამოვნებით იმღერებს მათ საფლავზე "Silent night, Holy night"-ს.

გაზეთი "ილორი"

პროფესორ შორდანიას გმირობა - "საამაჟოდ გამოგონილი მითი" თუ სინამდვილე?



1962 წელს ტრაგიკულად დაიღუპა ცნობილი ქართველი გინეკოლოგი და რეპროდუქტოლოგი იოსებ შორდანია. ბრაზილიაში საერთაშორისო სამედიცინო კონფერენციიდან სამშობლოში მომავალი ავიაკატასტროფას ემსხვერპლა. უცხოეთში გაფრენის წინ პროფესორმა მთელი დღე მეგობარ თენგიზ ბოლქვაძესთან და ვაჟთან, კირილ შორდანიასთან გაატარა. მაშინ ბიჭუნა ათი წლის ყოფილა. ბავშვს გულუბრყვილოდ უკითხავს მამისთვის, ცურვა რომ არ იცი, არ გეშინია? თვითმფრინავი რომ წყალში ჩაგარდეს, ხომ დაიღუპებიო... ბავშვის ავი წინათგრძნობა გამართლდა - მოგვიანებით, პროფესორის ცხედარი სამშობლოში ჩამოასვენეს...

პილოტი მიხვდა, რომ ხომალდი ბილიკის დარჩენილ ნაწილზე ვერ განერდებოდა და მარჯვნივ გადაუხვია... მასის ბორბლები ქვიშაში ჩაეფლო, ოთხივე ძრავამ დაკარგა ექვეტორები და მობრუნების კონუსები, რამაც თვითმფრინავი აანქრა - დაეჯახა აეროპორტის კედელს, გადააკეთა მეზობელი ბილიკი და საბოლოოდ ოკეანეში ჩაეშვა. ჯერ ნაპირთან ახლოს, 100 მეტრში დრეიფობდა, შემდეგ კი 8 მეტრის სიღრმეზე ჩაიძირა. ერთი შეხედვით, მდგომარეობა არც ისე რთული იყო, რომ ვინმე დაღუპულიყო. მიუხედავად ამისა, ავიაკატასტროფას 15 ადამიანი ემსხვერპლა - ერთი ეკიპაჟის წევრი და 14 მგზავრი... გადარჩენილი მგზავრებიდან ერთ-ერთმა, აწ გარდაცვლილმა პროფესორმა პავლე შუშანიამ საზოგადოებას იოსებ შორდანიას უკანასკნელი წუთების შესახებ უამბო:

"როდესაც თვითმფრინავი წყალზე გაჩერდა, მგზავრებმა (რომ არ დამძიმებულ იყვნენ და წყალში არ ჩაძირულიყვნენ) ტანსაცმელი გაიხადეს და მაშველ რგოლებს ეცნენ. მე და იოსებ შორდანია თვითმფრინავის ფრთაზე ვიდექით. ამოდ ვეხვედებოდით, მომეჭიდე და ნაპირამდე გაგიყვანა-მეთქი. თავი გააქნია, ასე ორივე დავიხრწობით, სჯობს, თავს უშველო. მან არც ცურვა იცოდა და მაშველი რგოლიც არ ჰქონდა - თვითმფრინავის სალონიდან გამოსვლამდე პატარა გოგონას მისცა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გავიგე, უბილეთო იყო და სავარაუდოდ, მაშველი რგოლიც ამიტომ არ ჰქონდა. ლაინერი თანდათან მიიწვედა ფსკერისკენ. ისდა დამრჩენოდა, მარტო გამეცურა ნაპირისკენ. ცურვა რომ სცოდნოდა და ცოტაც გაეძლო, მაშველი მასაც მიუსწრებდა".

კატასტროფის დროს სომეხი პროფესორი აშოტ აგარონოვიც დაიღუპა. ის და შორდანია ერთი ასაკის, 67 წლის იყვნენ. მოხუცმა პროფესორმა, იმ იმედით, რომ მაშველი მიუსწრებდა, არჩია თვითმფრინავში, სკამზე მიბმული დალოდებოდა ბედისწერას...

